

შპს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა  
2014 წლის 31 დეკემბერს

**შინაარსი:**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა..... 3  
მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე ..... 5

**ფინანსური ანგარიშგება**

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....6  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....7  
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....8  
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება .....9

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ინფორმაცია .....10  
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....10  
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები .....22  
4. წმინდა გამომუშავებული პრემია .....23  
5. საპროცენტო შემოსავალი .....23  
6. საკომისიო შემოსავალი .....23  
7. წმინდა სადაზღვევო ზარალები .....24  
8. საკომისიო ხარჯები .....24  
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....24  
10. მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები .....25  
11. საპროცენტო ხარჯი .....25  
12. მოგების გადასახადის ხარჯი .....25  
13. ძირითადი საშუალებები.....26  
14. არამატერიალური აქტივები.....26  
15. საინვესტიციო ქონება.....27  
16. უზრუნველყოფაში მიღებული აქტივები .....27  
17. აკვიზიციის გადავადებული ხარჯი .....27  
18. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები ...27  
19. სხვა აქტივები .....30  
20. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან.....31  
21. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ .....31  
22. ფული და ფულის ეკვივალენტები.....32  
23. საწესდები კაპიტალი .....32  
24. სხვა სადაზღვევო ვალდებულებები .....32  
25. გადავადებული საკომისიო შემოსავალი.....32  
26. მიღებული სესხები.....33  
27. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....33  
28. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება .....33  
29. რისკების მართვა .....34  
30. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან .....41  
31. ბალანსშემდგომი მოვლენები .....41

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი“-ს მენეჯმენტს და დამფუძნებლებს.

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს იმ საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ასევე, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

### მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით შეცდომებს.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს კომპანიის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან. ამის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანობაში.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს პირობითი დასკვნის გასაცემად.

### პირობითი დასკვნის საფუძველი

როგორც ეს აღნიშნულია ფინანსური ანგარიშგების მე-13 შენიშვნაში კომპანიის მიერ შენობის შეფასება მოხდა 2011 წლის 29 მარტს, დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. ჩვენ არ მოგვეცა საშუალება, მოგვეპოვებინა შემფასებლის სამუშაო ფაილები, რის გამოც ვერ შევძელით, შეგვემოწმებინა გადაფასების შედეგის სამართლიანობა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას შენობის გადაფასებული ღირებულების (რომელიც შეადგენს 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად 1,422,214 და 1,497,763 ლარს), ასევე შესაბამისი გადაფასების რეზერვის (რომელიც შეადგენს 92,497 ლარს საანგარიშგებო და შესადარისი თარიღისთვის) სისწორის შესახებ.

კომპანიას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საკუთარი კაპიტალის შემადგენელ ნაწილად 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახული აქვს ნებადართული მაგრამ გაუნაღებელი კაპიტალი 223,200 ლარის ოდენობით და ამავე თანხით არის გაზრდილი მოთხოვნები დამფუძნებლების წინაშე, რაც ჩვენი აზრით ეწინააღმდეგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

კომპანიას 2013 და 2014 წლის განმავლობაში ვალდებულებათა შესრულების და ავტორანსპორტის დაზღვევიდან აღიარებული აქვს მოთხოვნები რეგრესიდან შესაბამისი გადამზღვევლის წილით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება რათა დავრწმუნებულიყავით, რომ რეგრესიდან მოთხოვნები აღიარებული და შეფასებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების დაცვით, თუმცა რეგრესში გადამზღვევლის წილი აღიარებულია გადაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისი პროპორციებით. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ რეგრესიდან აღიარებულ შემოსავალზე შემცირებული შემოსავალში გადამზღვევლის წილით (შენიშვნა 7) 3,031,085 და 809,999 ლარი 2014 და 2013 წლისთვის, ასევე რეგრესიდან მოთხოვნის ნაშთზე (შენიშვნა 20) შემცირებული რეგრესში გადამზღვევლის წილით (შენიშვნა 24) 1,383,137 და 809,999 ლარი 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესაბამის გაუფასურებაზე.

როგორც ეს მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-27 შენიშვნაში, კომპანიას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში წარდგენილი აქვს სავაჭრო ვალდებულებები 402,359 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარის დასტურის წერილები სავაჭრო ვალდებულებებზე და კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებების ნაშთზე.

### **პირობითი დასკვნა**

ჩვენი აზრით, გარდა იმ ეფექტისა, რომელსაც ახდენს პირობითი დასკვნის საფუძველში მოცემული საკითხები, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### **სხვა გარემოება - ანგარიშგების ხელახალი გამოცემა**

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2015 წლის 15 მაისს გაცემულ დასკვნაში ჩვენ თავი შევიკავეთ მოსაზრების გამოხატვისგან ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებზე საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვების შეუძლებლობის გამო. ამის შემდეგ მენეჯმენტმა განახორციელა წარდგენილი მონაცემების გადახედვა და გადაანგარიშება. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება ეხება ფინანსურ ანგარიშგებას მთლიანობაში გადაანგარიშების შედეგად შეტანილი ცვლილებების იდენტიფიცირების გარეშე. აღნიშნულ ცვლილებებს არ ქონია გავლენა საანგარიშგებო პერიოდის საწყის ნაშთებზე.

შპს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი“

## მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთანეთისგან მენეჯმენტისა და დამოუკიდებელი აუდიტორის პასუხისმგებლობები, შპს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფის“ (შემდეგში „კომპანია“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრისთვის და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებს, ფულადი ნაკადის მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ზემოთ აღნიშნული წლის ბოლოსთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საქმიანობის უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მას დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების მიხედვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს მას დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მენეჯმენტის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგება 2015 წლის 19 ივნისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



არმაზ თავაძე

ფინანსური დირექტორი



ბესიკ ნათუნაძე



შპს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი“

**სრული შემოსავლის ანგარიშგება**


საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარებში)

	შენიშვნა	2014	2013
მოზიდული პრემია		22,486,818	19,079,745
გადამზღვეველის წილი მოზიდულ პრემიაში		(3,586,351)	(3,202,844)
<b>წმინდა მოზიდული პრემია</b>		<b>18,900,467</b>	<b>15,876,901</b>
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(645,095)	(3,810,944)
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში			
გადამზღვეველის წილი		(775,277)	864,320
<b>წმინდა გამოუმუშავებელი პრემია</b>	4	<b>17,480,095</b>	<b>12,930,277</b>
საპროცენტო შემოსავალი	5	377,476	153,206
საკომისიო შემოსავალი	6	681,280	479,193
<b>სულ შემოსავალი</b>		<b>18,538,851</b>	<b>13,562,676</b>
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები		(10,557,095)	(6,974,198)
ცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში		(9,229,922)	(4,016,273)
სადაზღვევო ზარალები და ცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში -			
გადამზღვეველის წილი		9,334,643	3,067,263
<b>წმინდა სადაზღვევო ზარალები</b>	7	<b>(10,452,374)</b>	<b>(7,923,208)</b>
საკომისიო ხარჯები	8	(2,339,683)	(1,278,070)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(3,082,843)	(2,107,842)
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები	10	(753,482)	(719,675)
უიმედო და საეჭვო მოთხოვნების ხარჯი	20	(203,613)	(1,001,886)
საპროცენტო ხარჯი	11	(172,028)	(83,951)
სხვა შემოსავალი და ხარჯი		(102,345)	6,619
ზარალი საკურსო სხვაობებიდან		(103,675)	(40,191)
<b>სულ ზარალები და ხარჯები</b>		<b>(17,210,043)</b>	<b>(13,148,204)</b>
<b>მოგება დაბეგრამდე</b>		<b>1,328,808</b>	<b>414,472</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(211,117)	(211,481)
<b>წმინდა მოგება</b>		<b>1,117,691</b>	<b>202,991</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>		<b>1,117,691</b>	<b>202,991</b>

ფინანსური ანგარიშგება 2015 წლის 19 ივნისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



არმაზ თავაძე

ფინანსური დირექტორი



ბესიკ ნათენაძე


10 - 41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი“  
**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**  
 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (ლარში)

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2014	31 დეკემბერი 2013
ძირითადი საშუალებები	13	1,707,810	1,726,093
არამატერიალური აქტივები	14	28,266	35,910
საინვესტიციო ქონება	15	404,320	376,800
უზრუნველყოფაში მიღებული აქტივები	16	847,000	366,572
გადავადებული აკვიზიციის ხარჯები	17	1,156,028	777,055
გადაზღვევის აქტივი	18	10,646,597	3,546,310
მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე		-	223,200
სხვა აქტივები	19	1,933,052	2,175,718
სადაზღვევო მოთხოვნები	20	21,865,238	13,360,262
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	21	2,196,129	651,100
ფული და ფულის ექვივალენტები	22	6,755,618	3,867,228
		<b>47,540,058</b>	<b>27,106,248</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	23	1,600,000	1,600,000
გაუნაწილებელი მოგება		1,864,581	982,040
გადაფასების რეზერვი		92,497	92,497
		<b>3,557,078</b>	<b>2,674,537</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი			
ვალდებულებები	18	22,674,182	12,799,165
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	24	16,599,219	8,649,889
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	25	211,725	246,611
მიღებული სესხები	26	2,179,470	1,528,951
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27	1,817,220	829,074
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	28	296,428	116,671
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		204,736	261,350
		<b>43,982,980</b>	<b>24,431,711</b>
		<b>47,540,058</b>	<b>27,106,248</b>

ფინანსური ანგარიშგება 2015 წლის 19 ივნისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

  
 \_\_\_\_\_

არმაზ თავაძე

ფინანსური დირექტორი

  
 \_\_\_\_\_

ბესიკ ნათენაძე

10 - 41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
<b>ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>1,600,000</b>	<b>976,898</b>	<b>92,497</b>	<b>2,669,395</b>
გადახდილი დივიდენდები	-	(197,849)	-	(197,849)
საანგარიშგებო პერიოდში მიღებული მთლიანი სრული შემოსავალი	-	202,991	-	202,991
<b>ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>1,600,000</b>	<b>982,040</b>	<b>92,497</b>	<b>2,674,537</b>
გადახდილი დივიდენდები	-	(235,150)	-	(235,150)
საანგარიშგებო პერიოდში მიღებული მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,117,691	-	1,117,691
<b>ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>1,600,000</b>	<b>1,864,581</b>	<b>92,497</b>	<b>3,557,078</b>

ფინანსური ანგარიშგება 2015 წლის 19 ივნისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



არმაზ თავაძე

ფინანსური დირექტორი



ბესიკ ნათუნაძე



10 - 41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი“

**ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2014	2013
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>1,328,808</b>	<b>414,472</b>
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	9	158,317	107,635
ცვლილება სადაზღვევო ვალდებულებებში		9,875,017	7,827,217
ცვლილება გადაზღვევის აქტივებში		(7,100,287)	(2,824,828)
აკვიზიციის გადავადებული ხარჯების ამორტიზაცია	8	2,339,683	1,278,070
გადავადებული საკომისიო შემოსავლის ამორტიზაცია	6	(681,280)	(479,193)
არარეალიზებული საკურსო სხვაობები		65,886	(54,212)
საპროცენტო ხარჯი	11	172,028	83,951
საპროცენტო შემოსავალი	5	(377,476)	(153,206)
უიმედო და საექვო ვალების ხარჯი	20	203,613	1,001,886
<b>მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში</b>		<b>5,984,309</b>	<b>7,201,792</b>
<b>ცვლილებამდე</b>		<b>5,984,309</b>	<b>7,201,792</b>
გადავადებული აკვიზიციის ხარჯების ზრდა		(2,718,656)	(1,264,211)
სადაზღვევო მოთხოვნების ზრდა		(8,341,151)	(9,868,940)
სადაზღვევო აქტის შედეგად გადარჩენილი აქტივების ზრდა		(480,428)	(100,000)
სხვა მიმდინარე აქტივების (ზრდა)/შემცირება		482,772	(1,087,749)
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(1,545,029)	911,671
სხვა სადაზღვევო ვალდებულებების ზრდა		7,883,444	6,914,773
საკრედიტო და სხვა ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		988,146	(134,007)
გადავადებული საკომისიო შემოსავლის ზრდა		646,394	579,983
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>2,899,801</b>	<b>3,153,312</b>
გადახდილი პროცენტები		(54,062)	(63,047)
გადახდილი მოგების გადასახადი		(87,970)	(8,066)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>2,757,769</b>	<b>3,082,199</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
ძირითადი საშუალებების და არამატერ. აქტივების შეძენა		(159,910)	(737,314)
გაცემული სესხებიდან მიღებული ფული		1,076,401	210,511
გაცემული სესხები		(1,526,827)	(894,053)
მიღებული პროცენტი		220,354	123,480
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		<b>(389,982)</b>	<b>(1,297,376)</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>			
მიღებული სესხები		2,002,790	1,040,000
სესხების დაფარვა		(1,470,237)	(140,005)
დამფუძნებლების შენატანები		223,200	-
გადახდილი დივიდენდები		(235,150)	(197,849)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>		<b>520,603</b>	<b>702,146</b>
<b>ფულადი სახსრების წმინდა ზრდა</b>		<b>2,888,390</b>	<b>2,486,969</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში</b>		<b>3,867,228</b>	<b>1,380,259</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს</b>		<b>6,755,618</b>	<b>3,867,228</b>

ფინანსური ანგარიშგება 2015 წლის 19 ივნისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



არმაზ თავაძე

ფინანსური დირექტორი



ბესიკ ნათუნაძე

10 - 41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი“

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2010 წლის 30 მარტს. კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს არასიცოცხლის დაზღვევა: სამედიცინო, უძრავი ქონების, ვალდებულებების და პასუხისმგებლობის დაზღვევის მიმართულებით. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფუნქციონირებდა სათავო ოფისის და 6 სერვის ცენტრის მეშვეობით. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 3.

კომპანიის მისიაა მომხმარებელთა მოთხოვნილებების გამოვლენა, მათზე ორიენტირებული სადაზღვევო პროდუქტების შექმნა, მუდმივად გაუმჯობესებული ხარისხის მომსახურების მიწოდება და შედეგად დაზღვეულთა მრავალწლიანი ლოიალობის მოპოვება.

სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი ახორციელებს მსხვილი რისკების გადაზღვევას მსოფლიოს ისეთ წამყვან გადამზღვევ კომპანიებში, რომლებიც კარგად იცნობენ ქართული სადაზღვევო ბაზრის სპეციფიკას. პარტნიორის შერჩევისას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა გადამზღვევლის რეიტინგს და მსოფლიოში აღიარებულ რეპუტაციას.

### 2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

#### 2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული სააღრიცხვო პოლიტიკაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

მენეჯმენტმა 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა გამოსაშვებად ხელმეორედ 2015 წლის 15 მაისი შემდეგ რათა აღმოფხვრილიყო წინა ანგარიშგების მომზადებისას დაშვებული შეცდომები. აღნიშნული ცვლილებები შეეხო მხოლოდ 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს და არ ქონია გავლენა შესადარის ინფორმაციაზე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე, იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

#### 2.2 ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

##### ა) 2014 წლის 1 იანვრიდან მოქმედი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

2014 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა მთელი რიგი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

- შესწორებები ფასს 10-ში, ფასს 12-სა და ბასს 27-ში - საინვესტიციო საწარმო
- შესწორებები ბასს 32-ში - ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთათვალი

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

### 2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- შესწორებები ბასს 36-ში - აღდგენადი თანხების განმარტება არასაფინანსო აქტივებისათვის
- შესწორებები ბასს 39-ში - წარმოებული ინსტრუმენტების დათმობა და ჰეჯირების აღრიცხვის უწყვეტობა
- ფასიკ 21 - მოსაკრებლები

**შესწორებები ბასს 32-ში** - ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლა. ბასს 32-ის შესწორება განმარტავს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. კერძოდ, შესწორება გვიხსნის, თუ რა იგულისხმება ფრაზებში “ამჟამად გააჩნია ურთიერთჩათვლის სამართლებრივად აღსრულებადი უფლება” და “ერთდროული რეალიზაცია და ანგარიშსწორება”.

აღნიშნული შესწორებები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებზე არ მოქმედებს, რადგან კომპანიას ურთიერთჩათვლელი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები არ გააჩნია.

**შესწორება სტანდარტში ბასს 36-ში** - ანაზღაურებადი ღირებულების განმარტება არაფინანსური აქტივებისათვის. ბასს 36-ის შესწორებით აქტივის ან ფულის გამომმუშავებელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების განმარტების ვალდებულება შემოიფარგლება იმ პერიოდით, რომლის დროსაც მოხდა გაუფასურების ზარალის აღიარება ან გაუქმება. გარდა ამისა, ეს შესწორება აფართოებს და განსაზღვრავს განმარტების იმ მოთხოვნას, რომელიც ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც აქტივის ან ფულის გამომმუშავებელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება დადგინდა რეალური ღირებულების საფუძველზე გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ახლად დადგენილი განმარტებები მოიცავს რეალურ ღირებულებათა იერარქიას, ძირითად დაშვებებსა და შეფასების ტექნიკას, რაც ფასს 13 “რეალური ღირებულების განსაზღვრა” სტანდარტით გათვალისწინებულ განმარტებებს შეესაბამება.

**ფასიკ 21 - მოსაკრებლები** - ეს ინტერპრეტაცია ვრცელდება ხელისუფლების მიერ დაწესებულ ყველა გადახდაზე, გარდა მოგების გადასახადისა, რომელიც ბასს 12-ის კომპეტენციის სფეროა და კანონდარღვევებისათვის გათვალისწინებულ ჯარიმებსა და საურავებს. ინტერპრეტაცია განმარტავს, რომ მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების აღიარება მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც მავალდებულებელი მოვლენა დამდგარია. ინტერპრეტაცია გვაძლევს განმარტებას იმაზეც, როგორ უნდა განისაზღვროს, უნდა მოხდეს თუ არა ვალდებულების აღიარება პროგრესულად კონკრეტული პერიოდის განმავლობაში თუ სრულად კონკრეტულ დღეს.

მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ინტერპრეტაციას რაიმე ზეგავლენა არ მოუხდენია.

კომპანიას ვადამდე არ მიუღია რაიმე სხვა სტანდარტი, შესწორება თუ ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულა.

### ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები:

კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- შესწორება ბასს 19-ში - საპენსიო გეგმა დადგენილი გადახდებით: თანამშრომელთა შენატანები
- ფასს 14 - მარეგულირებელი გადავადებული ანგარიშები
- შესწორებები ბასს 16-სა და ბასს 38-ში - ცვეთისა და ამორტიზაციის მისაღები მეთოდების განმარტება
- შესწორებები ბასს 27-ში - წილობრივი მონაწილეობის მეთოდი
- შესწორებები ბასს 16 და ბასს 41 - სოფლის მეურნეობა: ნაყოფიანი მცენარეები
- შესწორებები ფასს 11-ში - ერთობლივ საქმიანობაში წილის შესყიდვის აღრიცხვა
- შესწორებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში - აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

**2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.** 2014 წლის მასში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები, ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

**ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები.** 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

### 2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. გაუფასურება. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვა. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

კომპანიის ხელმძღვანელობის პროგნოზით, მომავალში ფასს 9-ის გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ნაჩვენებ თანხებზე. თუმცა, დეტალური შემოწმების გარეშე ფასს 9-ის ეფექტზე ადეკვატური მსჯელობა არაგონივრული იქნებოდა.

**შესწორება ბასს 16-სა და ბასს 38-ში** - ცვეთისა და ამორტიზაციის მისაღები მეთოდების განმარტება. ბასს 16-ის შესწორება მეწარმეს უკრძალავს ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვას შემოსავლის საფუძველზე. ბასს 38-ის შესწორებას შემოაქვს გაბათილებადი ვარაუდი, რომ შემოსავალი არ წარმოადგენს არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის სათანადო საფუძველს. ეს ვარაუდი მხოლოდ მაშინ შეიძლება გაბათილდეს, როდესაც არამატერიალური აქტივი გამოხატულია, როგორც შემოსავლის ზომა ან მაშინ, როდესაც შეიძლება ჩვენება, რომ შემოსავალი და არამატერიალური აქტივისგან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მოხმარება ერთმანეთთან ახლო კორელაციაშია. ეს შესწორება ძალაში შედის პროსპექტიულად და ვრცელდება 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ პერიოდებზე.

კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

**2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

**2.1. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

**ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა**

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

**ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება**

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „სხვა შემოსავალი/ხარჯი“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	<b>საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი</b>	
	<b>აშშ დოლარი</b>	<b>ევრო</b>
კურსი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის	1.8636	2.2656
კურსი 2013 წლის 31 დეკემბრისთვის	1.7363	2.3891

**2.2. სადაზღვევო და საინვესტიციო კონტრაქტები - კლასიფიკაცია**

კომპანია აფორმებს ხელშეკრულებებს, რომლებიც ატარებს სადაზღვევო ან ფინანსურ რისკს, ან ორივეს ერთად. სადაზღვევო ხელშეკრულება ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის დროსაც მზღვეველი თავის თავზე იღებს პოლისის მფლობელის მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს. ასეთი ხელშეკრულება შეიძლება ასევე ატარებდეს ფინანსურ რისკსაც. სადაზღვევო რისკის არსებობა დამოკიდებულია როგორც სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის ალბათობაზე, ასევე მისი პოტენციური ეფექტის მოცულობაზე.

კომპანიის მიერ გამოშვებული საკონტრაქტო გარანტიები წარმოადგენს ვალდებულებათა შესრულების გარანტიებს. ვალდებულებათა შესრულების გარანტიები შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

- საავანსო გარანტია უზრუნველყოფს ბენეფიციარის მიერ პრინციპალისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საავანსო გადახდების სათანადო გამოყენებას ან გადახდას, იმ შემთხვევაში, როდესაც ავანსების გადახდა ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყებამდე, მომსახურების გაწევამდე ან საქონლის მიწოდებამდე. როგორც წესი, გარანტიები მცირდება ამ სამუშაოების შესრულების, მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების პარალელურად.
- შესრულების გარანტია იცავს ბენეფიციარს ფინანსური ზარალისგან იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალი ვერ შეძლებს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და ვალდებულებების შესრულებას.
- სატენდერო გარანტიები გამოიყენება იმისთვის, რათა შესაძლებლობა მიეცეს პირს, გააკეთოს შეთავაზება პოტენციურ ხელშეკრულებაზე და ტენდერში მოგების შემთხვევაში, გახდეს ხელშეკრულების მონაწილე პირი. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის მონაწილე ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ბენეფიციარი მხარე უზრუნველყოფილია ტენდერის თანხის ოდენობით, რაც კონტრაქტის მთლიანი ღირებულების პროცენტულ მაჩვენებელს წარმოადგენს.
- საბაჟო გარანტიები (ან ფინანსური რისკების დაზღვევის პოლისი) უზრუნველყოფს საბაჟო და

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

### 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქციზის გადასახადების, ასევე იმპორტის და რე-ექსპორტის გადასახადების სათანადო დეკლარირებას და დროულ გადახდას შესაბამის ორგანოებში (დროებითი შემოტანის, ტრანზიტთან დაკავშირებული პროცედურების შემთხვევაში და ა.შ.)

საკონტრაქტო გარანტიები აისახება, როგორც სადაზღვევო კონტრაქტები.

#### 2.3. აკვიზიციის გადავადებული ხარჯები (DAC)

საკომისიო და აკვიზიციის სხვა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი კონტრაქტების მოზიდვასთან და არსებული კონტრაქტების განახლებასთან, კაპიტალიზდება, როგორც არამატერიალური აქტივები (DAC). ყველა სხვა დანარჩენი ხარჯი აღიარდება, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. აკვიზიციის გადავადებული ხარჯების (DAC) ამორტიზება კონტრაქტის ვადის განმავლობაში ხდება შემდეგნაირად:

- ქონებისა და უბედური შემთხვევის დაზღვევისას წარმოშობილი აკვიზიციის გადავადებული ხარჯები ამორტიზდება პოლისის მოქმედების ვადის განმავლობაში, სადაზღვევო პრემიის გამომუშავების პროპორციულად;
- ფიქსირებული კომპონენტის არმქონე გრძელვადიანი სადაზღვევო კონტრაქტებისთვის, აკვიზიციის გადავადებული ხარჯები ამორტიზდება კონტრაქტის მთლიანი მოსალოდნელი ვადის განმავლობაში.

მოსალოდნელი მოგების მარჯა დამოკიდებულია წარსულ გამოცდილებაზე და მოსალოდნელ შედეგებზე, რომელთა გადახედვა და გაანალიზებაც ხდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის. გადავადებული აკვიზიციის ხარჯების საბალანსო ღირებულების ცვლილება აისახება საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში.

#### 2.4. საწარმოთა გაერთიანების ან სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის გადაცემის დროს შექმნილი სადაზღვევო ხელშეკრულებები (VOBA)

სხვა მზღვეველისგან პირდაპირი გზით საკონტრაქტო პორტფელის შექმნის დროს, კომპანია აღიარებს არამატერიალურ აქტივს, რომელიც წარმოდგენილია, როგორც ბიზნესის შექმნის ღირებულება (VOBA). ბიზნესის შექმნის ღირებულება წარმოადგენს სადაზღვევო და დისკრეციული მონაწილეობის პარამეტრებით საინვესტიციო კონტრაქტების შექმნიდან მომავალში მისაღები ეკონომიკური სარგებლის მიმდინარე ღირებულებას. კომპანია ბიზნესის შექმნის ღირებულების ამორტიზაციას ახდენს შექმნილი კონტრაქტის ვადის განმავლობაში, იმავე პრინციპით, როგორც ეს ხდებოდა გადავადებული ხარჯების შემთხვევაში (DAC) (იხილეთ ზემოთ).

#### 2.5. ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს კომპანია ატარებს ვალდებულების ადეკვატურობის ტესტს, რათა შეაფასოს აღიარებული სადაზღვევო ვალდებულებების ადეკვატურობა, რომელიც შემცირებულია აკვიზიციის გადავადებული ხარჯებითა და საწარმოთა გაერთიანების ან სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის გადაცემის დროს შექმნილი სადაზღვევო ხელშეკრულებებით. ადეკვატურობის ტესტისთვის კომპანია იყენებს თავისი სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომავალი ფულადი ნაკადების, ზარალებისა და ადმინისტრაციული ხარჯების, ასევე სადაზღვევო ვალდებულებების უზრუნველყოფისთვის საჭირო აქტივებიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავლების მიმდინარე შეფასებებს. აღნიშნული შეფასებებიდან წარმოშობილი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულების ნებისმიერი გაუფასურება აღიარდება შემდეგნაირად: თავდაპირველად ხდება შესაბამისი აკვიზიციის გადავადებული დანახარჯებისა და საწარმოთა გაერთიანების ან სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის გადაცემის დროს შექმნილი სადაზღვევო ხელშეკრულებების ჩამოწერა მოგებაში ან ზარალში, ხოლო შემდგომ ხდება გაუფასურების ზარალის რეზერვის შექმნა.

#### 2.6. გადაზღვევის კონტრაქტები

სხვა მზღვეველთან (გადამზღვეველი) გაფორმებული კონტრაქტი, რომლის მეშვეობითაც გადამზღვეველი კომპანიას უნაზღაურებს გაცემული ერთი ან მეტი ხელშეკრულების ზარალს და აკმაყოფილებს სადაზღვევო ხელშეკრულებად კლასიფიკაციის კრიტერიუმებს, კლასიფიცირდება, როგორც გადაზღვევის კონტრაქტი. კომპანიის მიერ მიღებული გადაზღვევა (რეტროცესია) კლასიფიცირებულია, როგორც სადაზღვევო კონტრაქტი.

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

### 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სარგებელი, რომლის მიღების უფლებაც კომპანიას წარმოეშობა მის მიერ ფლობილი გადაზღვევის კონტრაქტების შესაბამისად, კლასიფიცირდება, როგორც გადაზღვევის აქტივი. ასეთი ტიპის აქტივები შედგება მოკლე და გრძელვადიანი მოთხოვნებისგან, რაც განისაზღვრება შესაბამისი გადაზღვეული კონტრაქტებიდან წარმოშობილი მოსალოდნელი ზარალებისა და სარგებლის ვადის მიხედვით. გადამზღვეველისგან მისაღები ანაზღაურების შეფასება ხდება შესაბამისი გადაზღვეული კონტრაქტებიდან მისაღები თანხების პროპორციულად და თითოეული ამ კონტრაქტის პირობების შესაბამისად. გადაზღვევის ვალდებულება წარმოადგენს გადაზღვევის კონტრაქტებზე გადასახდელ პრემიას და აღიარდება ხარჯად გადახდის ვადის დადგომისას.

კომპანია ყოველწლიურად ახდენს გადაზღვევის აქტივების გაუფასურების შეფასებას. თუ აღმოჩნდა აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია ამცირებს მის საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია ახორციელებს მტკიცებულებების მოპოვებას აქტივის გაუფასურებაზე იგივე პრინციპით, როგორსაც იყენებს ამორტიზებადი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დროს. გაუფასურების ზარალიც იმავე მეთოდით გამოითვლება, როგორც ეს ხდება ფინანსური აქტივების დროს.

#### 2.7. სადაზღვევო და საინვესტიციო კონტრაქტებთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები

მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღიარება, როგორცაა აგენტების, ბროკერებისა და პოლისების მფლობელებისგან მისაღები ან მათთვის გადასახდელი თანხები, ხდება მათი წარმოშობის მომენტიდან.

თუ არსებობს სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია ამცირებს სადაზღვევო მოთხოვნის საბალანსო ღირებულებას და აღიარებს გაუფასურების ზარალს. კომპანია ახორციელებს მტკიცებულებების მოპოვებას სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურებაზე იგივე პრინციპით, როგორსაც იყენებს ამორტიზებადი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დროს. გაუფასურების ზარალიც იმავე მეთოდით გამოითვლება, როგორც ეს ხდება ფინანსური აქტივების დროს.

#### (i) რეგრესი და გადარჩენილი ქონება

ზოგიერთი სახის სადაზღვევო კონტრაქტი კომპანიას უფლებას აძლევს, გაყიდოს (როგორც წესი, გაფუჭებული) ზარალის დაფარვის შედეგად მიღებული ქონება (გადარჩენილი ქონება). კომპანიას ასევე შეიძლება ქონდეს უფლება, მესამე მხარეს მოსთხოვოს ზარალის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება (რეგრესი).

გადარჩენილი ქონებიდან მიღებული ანაზღაურება აისახება სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების სახით, ხოლო როდესაც ვალდებულება დაფარულია, იგი აღიარდება, როგორც სხვა აქტივი. სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების თანხა არის თანხა, რომლის მიღებაც გონივრულ პირობებში შესაძლებელია შესაბამისი ქონების რეალიზაციიდან.

რეგრესებიც ასევე განიხილება, როგორც სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირება, და აღიარდება სხვა აქტივებში იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებები დაფარულია. სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების თანხა კი არის თანხა, რომლის მიღებაც გონივრულ პირობებში შესაძლებელია მესამე მხარეებისგან.

#### 2.8. სადაზღვევო ზარალების ვალდებულებები

რეზერვები იქმნება ზარალებისთვის და სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ხარჯებისთვის, რომლებიც მოხდა, მაგრამ კომპანიას ჯერ არ დაურეგულირებია. სადაზღვევო ზარალების რეზერვები იყოფა ორ კატეგორიად: განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი.

#### (ი) განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ფორმირებას კომპანია ახორციელებს მზღვეველის მიმართ ცნობილი მოთხოვნების არსებობისას საანგარიშო თარიღისათვის, რაც შესაბამისი განაცხადებით დასტურდება.



შპს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი“

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

### 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა საანგარიშო თარიღისათვის არის დამზღვევთა ცნობილ მოთხოვნებზე სადაზღვევო ანაზღაურების დარეზერვებული გადაუხდელი თანხები, რომლებზეც არ არის მიღებული გადაწყვეტილება სადაზღვევო თანხების სრული ან ნაწილობრივი დაფარვის დაუკმაყოფილებლობაზე.

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა აისახება კომპანიის ბალანსში, როგორც ვალდებულება.

(იი) მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის ოდენობა შეადგენს დაზღვევის ყველა სახეობისათვის გარდა სამედიცინო დაზღვევისა საბაზისო პრემიის 5 (ხუთ) პროცენტს, ხოლო სამედიცინო დაზღვევისთვის საბაზისო პრემიის - 2 (ორ) პროცენტს. საბაზისო პრემიად მიიჩნევა მზღვეველის მიერ საანგარიშო წელიწადში მოზიდული პრემია.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი რეზერვების ოდენობა კომპანიის ბალანსში აისახება, როგორც ვალდებულება.

#### 2.9. ფინანსური ინსტრუმენტები

##### ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად, შეძენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგია:

(ა) სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯებით, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები, გადახდების დაგვიანება და ა.შ.), რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას კონტრაგენტებისგან. ასეთი რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნებისა და გაცემულ სესხებისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი, ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება უნდა შემცირდეს შესაბამისი რეზერვით.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან, გაცემული სესხების და საბანკო დაწესებულებებში განთავსებული ფულის სახით.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

(ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომლის დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და პოტენციური შესაძლებლობაც გააჩნია კომპანიას, გარდა იმისა:

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

**2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

- (ა) რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღირებისას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- (ბ) რომლებსაც კომპანია განიხილავს, როგორც გასაყიდად არსებულს; და
- (გ) რომლებსაც მიესადაგება განმარტება - სესხები და მოთხოვნები.
- (გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

- (ა) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული. ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება, როგორც სავაჭროდ გამიზნული, თუ იგი:
  - (ბ) შექმნილია ან აღებულია მხოლოდ გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით უახლოეს ვადებში;
  - (გ) თავდაპირველი აღირებისას გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილია, რომლებიც ერთად იმართება და რომლისთვისაც უახლოეს წარსულში მოკლევადიანი მოგების მიღების მტკიცებულება არსებობს; ან
- (დ) წარმოებული ინსტრუმენტია (იმ წარმოებულის გამოკლებით, რომელიც არის ფინანსური გარანტიის კონტრაქტი, ან ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტადაა მიჩნეული).
- (ე) თავდაპირველი აღირებისას კომპანიის მიერ იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანიას ამგვარი კლასიფიკაციის გამოყენება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში შეიძლება:
  - (ვ) თუ კონტრაქტი შეიცავს ერთ ან მეტ წარმოებულ ინსტრუმენტს, კომპანიას უფლება აქვს, ჰიბრიდული (კომბინირებული) კონტრაქტი მიიჩნიოს ფინანსურ აქტივად, რომელიც კლასიფიცირდება რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც:

- ჩართული წარმოებული (წარმოებულები) მნიშვნელოვნად არ ცვლის იმ ფულადი ნაკადების სიდიდეს, რომელიც კონტრაქტით სხვა შემთხვევაში იქნებოდა მოთხოვნილი;
- მსგავსი ჰიბრიდული (კომბინირებული) ინსტრუმენტის პირველად განხილვის დროს, ანალიზის გარეშე ან მცირე ანალიზიდანაც აშკარად ჩანს, რომ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის ცალკე გამოყოფა იკრძალება, როგორცაა, მაგალითად, სესხში ჩართული წინასწარ გადახდის არჩევანის უფლება, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს, სესხის დასაფარად გადაიხადოს დაახლოებით მისი ამორტიზებული ღირებულების ტოლი თანხა; ან
- როდესაც ამის გაკეთება უფრო შესაბამის ინფორმაციას იძლევა, რადგან:
  - იგი მთლიანად აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეფასებით ან აღიარებით გამოწვეულ შეუსაბამობებს (რასაც ზოგჯერ „სააღრიცხვო შეუსაბამობას“ უწოდებენ), რაც სხვა შემთხვევაში წარმოიქმნებოდა განსხვავებულ საფუძველზე აქტივების შეფასებიდან ან მათი შესაბამისი შემოსულობებისა და ზარალის აღიარებიდან; ან
  - ფინანსური აქტივების ჯგუფი იმართება და მისი შედეგის შეფასება რეალური ღირებულების საფუძველზე ხდება, დადგენილი რისკის მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად და აღნიშნული ჯგუფის შესახებ ამავე საფუძველით მომზადებული ინფორმაცია მიეწოდება კომპანიის ფარგლებში, კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

### 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(დ) გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები; ან (გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

### ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან. კომპანიის პოლიტიკა თითოეული სახეობის ფინანსურ ვალდებულებაზე შემდეგია:

(ა) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური აქტივის შესახებ ინფორმაცია):

- იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული;
- თავდაპირველი აღირებისას კომპანიის მიერ, იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა სადაზღვევო ვალდებულებებს, მიღებულ სესხებს და სავაჭრო ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

### ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

#### 2.10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. შესაბამისი ვალდებულება აღიარდება, როგორც ანარიცხი.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებში, რომელშიც წარმოიშვა.

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

**2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

კომპანიამ ძირითადი საშუალებების ჯგუფი „შენობებისთვის“ იყენებს აღრიცხვის გადაფასების მოდელს. გადაფასების ნებისმიერი მეტობა აისახება სხვა სრულ შემოსავალში ჩართულ ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინა პერიოდში კონკრეტული ძირითადი საშუალების გადაფასების დეფიციტი აისახა მოგება-ზარალში და ხდება მისი კომპენსირება, ამ შემთხვევაში გადაფასების ზრდა აისახება მოგება-ზარალში მხოლოდ წინა პერიოდის კომპენსირების მოცულობით. ყველა სახის გადაფასების დეფიციტი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაფასების დეფიციტი პირდაპირ ქვითავს იმავე აქტივზე წინა პერიოდში აღიარებულ გადაფასების რეზერვს, და გამოიქვითება ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვიდან იმ ზღვრული ოდენობით რა ოდენობითაც არის გადაფასების რეზერვი შექმნილი. წინა პერიოდის გადაფასების რეზერვის არასაკმარისი ოდენობით არსებობის შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება შეფასებულია გაყიდვის პირდაპირი შედარების მეთოდით, რომელიც მოიცავს მსგავსი უძრავი ქონების საბაზრო გასაყიდი ფასების ანალიზს.

ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

<b>ჯგუფი</b>	<b>სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)</b>
შენობები	10-25
კომპიუტერული ტექნიკა	5
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	იჯარის ვადის შესაბამისად
სხვა ძირითადი საშუალებები	3-5

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე დაუყოვნებლივ, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის შეფასებულ აღდგენით ღირებულებაზე.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულებების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

**2.11. საინვესტიციო ქონება**

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. კომპანია საინვესტიციო ქონების თავდაპირველ და შემდგომ აღიარებას ახდენს თვითღირებულებით.

**2.12. არამატერიალური აქტივები**

სააღრიცხვო პროგრამა

სააღრიცხვო პროგრამის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

მენეჯმენტის შეფასებით არსებული არამატერიალური აქტივების ამორტიზირება მოხდება ხუთი წლის განმავლობაში.

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

### 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

#### 2.13. მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

პერიოდის საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება შესაბამისად - სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. მენეჯმენტი პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას, კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. კომპანია ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის არსებული დროებითი სხვაობების მიხედვით. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან. გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მომავალში დასაბეგრი მოგება წარმოშობა, რომელიც მიმდინარე პერიოდის დროებით სხვაობებთან გაიქვითება.

გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

#### 2.14. შემოსავალი სადაზღვევო პრემიიდან

ყველა სადაზღვევო პრემიის აღიარება ხდება პოლისის დადგენისას, ხოლო გამომუშავება - პროპორციულად, შესაბამისი პოლისის ძალაში ყოფნის პერიოდში. საანგარიშგებო თარიღით გაწერილი, მაგრამ ჯერ მიუღებელი პრემიების შეფასებები ხორციელდება ანდერრაიტინგის შეფასებისას მიღებული შედეგების ან წარსული გამოცდილების საფუძველზე და მათი შეტანა ხდება გამომუშავებულ პრემიებში.

თუ პოლისი ძალას კარგავს პრემიების მიუღებლობის გამო, მაშინ ყველა დაკავშირებული დაგროვილი პრემიალური შემოსავალი, რომელიც არ არის მიღებული, გაიქვითება.

გამომუშავებელი პრემიები არის წლის განმავლობაში გაწერილი პრემიების ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამომუშავებელი პრემიები ძირითადად გამოითვლება ყოველდღიური ან ყოველთვიური სიხშირით პროპორციულად.

#### 2.15. ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

**3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ძირითადი შეფასებები და დაშვებები**

(ა) სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი საბოლოო ზარალები

არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი ზარალების საბოლოო ვალდებულების განსაზღვრა კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასებაა. გარკვეული განუსაზღვრელობა არსებობს საბოლოო ზარალების გადახდის ვალდებულების შეფასებისას.

არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებისთვის, შეფასებები უნდა გაკეთდეს როგორც საანგარიშგებო თარიღისთვის განცხადებული მოსალოდნელი საბოლოო ზარალების, ისე განუცხადებელი ზარალებისთვის. ზარალების ზუსტი საბოლოო მოცულობის განსაზღვრა შესაძლოა დიდი პერიოდის გასვლის შემდეგ მოხდეს. ზოგიერთი სახეობის პოლისისთვის, მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი ქმნის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სადაზღვევო ვალდებულების უმეტეს ნაწილს. არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტის შედეგად წარმოშობილი ზარალების დისკონტირება არ ხდება.

(ბ) აკვიზიციის გადავადებული ხარჯები

გადავადებული აკვიზიციის ხარჯების მოცულობის შეფასება დამოკიდებულია იმის განსაზღვრაზე, თუ რომელი ხარჯი უკავშირდება პირდაპირ პოლისის გამოშვებას. ფიქსირებული პირობების გარეშე გამოშვებული გრძელვადიანი სადაზღვევო კონტრაქტებისთვის აკვიზიციის გადავადებული ხარჯების ამორტიზება ხდება კონტრაქტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, როგორც ამ კონტრაქტიდან წარმოშობილი მთლიანი მოგების მარჯის პროცენტული შეფასება, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნის 2.5 პუნქტში აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით. მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია გრძელვადიანი სადაზღვევო კონტრაქტები.

(გ) ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

(დ) მოგების გადასახადი

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

(ე) დაზღვევიდან და გადაზღვევიდან წარმოშობილი მოთხოვნების გაუფასურების ანალიზი

კომპანია აფასებს დაზღვევის და გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილ მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუარესება.

გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში მენეჯმენტი აფასებს მოთხოვნების პორტფელის მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური მოთხოვნის მომავალ ფულად ნაკადებს.

შპს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი“

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

**4. წმინდა გამომუშავებული პრემია**

წმინდა გამომუშავებული პრემია დაზღვევის სახეობების მიხედვით 2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წამოდგენილია შემდეგნაირად:

	2014		2013		წმინდა მოზიდული პრემია	
	მოზიდული პრემია	გადამზღვეველის წილი	მოზიდული პრემია	გადამზღვეველის წილი		
სამედიცინო	11,762,497	-	11,762,497	10,059,010	-	10,059,010
ვალდებულებათა შესრულება	2,904,547	(2,119,882)	784,665	2,589,079	(1,708,897)	880,182
კასკო	2,544,905	-	2,544,905	2,825,382	-	2,825,382
ქონება	2,390,912	(66,990)	2,323,922	1,221,641	(256,876)	964,765
კარგო	1,547,300	(1,395,754)	151,546	776,064	(557,046)	219,018
მესამე პირის პასუხისმგებლობა	711,522	(3,725)	707,797	557,801	(14,551)	543,250
უბედური შემთხვევა	237,972	-	237,972	55,694	(2,258)	53,436
სამოქალაქო პასუხისმგებლობა	221,543	-	221,543	176,528	-	176,528
სამოგზაურო	149,306	-	149,306	97,059	-	97,059
საფინანსო დანაკარგების დაზღვევა	14,080	-	14,080	-	-	-
საჰაერო სატრანსპორტო საშუალება (კორპუსი)	1,734	-	1,734	12,223	(8,895)	3,328
სიცოცხლის დაზღვევა	500	-	500	-	-	-
მცურავი სატრანსპორტო საშუალება (კორპუსი)	-	-	-	696,585	(652,313)	44,272
საჰაერო სატრ. საშ-თა გამოყენებასთან დაკ. პასუხისმგებლობა	-	-	-	12,679	(2,008)	10,671
	<b>22,486,818</b>	<b>(3,586,351)</b>	<b>18,900,467</b>	<b>19,079,745</b>	<b>(3,202,844)</b>	<b>15,876,901</b>
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	(645,095)	(775,277)	(1,420,372)	(3,810,944)	864,320	(2,946,624)
<b>წმინდა გამომუშავებული პრემია</b>	<b>21,841,723</b>	<b>(4,361,628)</b>	<b>17,480,095</b>	<b>15,268,801</b>	<b>(2,338,524)</b>	<b>12,930,277</b>

**5. საპროცენტო შემოსავალი**

საპროცენტო შემოსავალი 2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წამოდგენილია შემდეგნაირად:

	2014	2013
საპროცენტო შემოსავალი ბანკებში განთავსებული სახსრებიდან	96,691	76,543
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	280,785	76,663
	<b>377,476</b>	<b>153,206</b>

**6. საკომისიო შემოსავალი**

საკომისიო შემოსავალი 2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წამოდგენილია შემდეგნაირად:

	2014	2013
საკომისიო შემოსავალი (შენიშვნა 25)	646,394	568,300
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	(179,725)	(231,015)
ამორტიზაცია წინა პერიოდის გადავადებული შემოსავლიდან	214,611	130,225
სხვა	-	11,683
	<b>681,280</b>	<b>479,193</b>

შპს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი“

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

**7. წმინდა სადაზღვევო ზარალები**

წმინდა სადაზღვევო ზარალები 2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წამოდგენილია შემდეგნაირად:

	2014	2013
ანაზღაურებული ზარალები	(13,553,421)	(9,042,150)
ცვლილება დამდგარი ზარალების რეზერვში	(9,229,922)	(4,016,273)
ზარალების დარეგულირების სხვა ხარჯები	(34,759)	(64,767)
რეგრესი და გადარჩენილი ქონება	12,342,080	5,053,523
	<b>(10,476,022)</b>	<b>(8,069,667)</b>
გადამზღვეველის წილი ანაზღაურებულ ზარალებში	1,459,079	1,106,755
ცვლილება დამდგარი ზარალების რეზერვში-გადამზღვეველის წილი	7,875,564	1,960,508
გადამზღვეველის წილი რეგრესში	(9,310,995)	(2,920,804)
	<b>23,648</b>	<b>146,459</b>
	<b>(10,452,374)</b>	<b>(7,923,208)</b>

**8. საკომისიო ხარჯები**

საკომისიო ხარჯები 2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წამოდგენილია შემდეგნაირად:

	2014	2013
აკვიზიციის ხარჯები (შენიშვნა 17)	(2,737,663)	(1,952,362)
აკვიზიციის გადავადებული ხარჯები	1,135,234	763,659
აკვიზიციის გადავადებული ხარჯების ამორტიზაცია	(737,254)	(89,367)
	<b>(2,339,683)</b>	<b>(1,278,070)</b>

**9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წამოდგენილია შემდეგნაირად:

	2014	2013
ხელფასი	(1,983,397)	(1,120,933)
იჯარა	(218,252)	(146,019)
საჯარო რეესტრის და ნოტარიუსის მომსახურება	(159,160)	(95,793)
ცვეთა და ამორტიზაცია	(158,317)	(107,634)
კომუნიკაციის ხარჯი	(80,124)	(63,493)
საკანცელარიო ხარჯი	(77,263)	(73,943)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(65,830)	(85,308)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(60,991)	(31,750)
საოფისე ხარჯები	(57,699)	(134,392)
რემონტის ხარჯები	(45,754)	(35,152)
კომუნალური გადასახადი	(27,470)	(18,808)
ქონების გადასახადის ხარჯი	(27,314)	(19,136)
ბანკის საკომისიო	(24,954)	(17,010)
მივლინების ხარჯი	(22,823)	(13,870)
საქველმოქმედო ხარჯები	(21,364)	-
საწვავის ხარჯი	(13,196)	(69,574)
ჯარიმები	-	(5,000)
სხვა ხარჯი	(38,935)	(70,027)
	<b>(3,082,843)</b>	<b>(2,107,842)</b>



შპს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი“

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

### 10. მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები

მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები 2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წამოდგენილია შემდეგნაირად:

	2014	2013
გაყიდვის პერსონალის ხელფასები	(439,900)	(563,346)
სარეკლამო ხარჯი	(296,322)	(138,077)
მიწოდების სხვა ხარჯები	(17,260)	(18,252)
	<b>(753,482)</b>	<b>(719,675)</b>

### 11. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წამოდგენილია შემდეგნაირად:

	2014	2013
საპროცენტო ხარჯი ბანკიდან აღებულ სესხებზე	(56,254)	(63,047)
საპროცენტო ხარჯი დამფუძნებლისგან აღებულ სესხებზე	(115,774)	(20,904)
	<b>(172,028)</b>	<b>(83,951)</b>

### 12. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი 2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წამოდგენილია შემდეგნაირად:

	2014	2013
მოგების გადასახადი	(31,360)	(88,235)
დროებითი სხვაობის ეფექტი	(179,757)	(123,246)
	<b>(211,117)</b>	<b>(211,481)</b>

მოგების გადასახადის რეკონსილაცია დასაბეგრი მოგებიდან არის შემდეგი:

	2014	2013
მოგება დაბეგვრამდე	1,328,808	414,472
მოგები გადასახადის პროცენტი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადი	(199,321)	(62,171)
ხარჯები რომლებიც არ გამოიქვითება	(11,796)	(149,310)
	<b>(211,117)</b>	<b>(211,481)</b>

შპს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი“

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

**13. ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები 2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წამოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება :	შენიშვნები	კომპიუტერული ტექნიკა	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
2012 წლის 31 დეკემბერი	1,076,222	49,242	56,013	-	8,273	1,189,750
შემოსვლა	552,475	92,398	21,845	57,500	6,403	730,621
გასვლა	-	-	-	-	-	-
2013 წლის 31 დეკემბერი	1,628,697	141,640	77,858	57,500	14,676	1,920,371
შემოსვლა	-	57,735	61,425	440	37,930	157,530
გასვლა	-	-	-	(2,572)	(23,767)	(26,339)
2014 წლის 31 დეკემბერი	1,628,697	199,375	139,283	55,368	28,839	2,051,562
<b>ცვეთა:</b>						
2012 წლის 31 დეკემბერი	(72,657)	(16,496)	(5,967)	-	(3,554)	(98,674)
პერიოდის ცვეთა	(58,277)	(20,170)	(13,067)	(2,257)	(1,833)	(95,604)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-
2013 წლის 31 დეკემბერი	(130,934)	(36,666)	(19,034)	(2,257)	(5,387)	(194,278)
პერიოდის ცვეთა	(75,549)	(31,326)	(26,882)	(11,236)	(4,481)	(149,474)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-
2014 წლის 31 დეკემბერი	(206,483)	(67,992)	(45,916)	(13,493)	(9,868)	(343,752)
<b>ნარჩენი ღირებულება:</b>						
2013 წლის 31 დეკემბერი	1,497,763	104,974	58,824	55,243	9,289	1,726,093
2014 წლის 31 დეკემბერი	1,422,214	131,383	93,367	41,875	18,971	1,707,810

კომპანიის კუთვნილი შენობა გადაფასებულია 2011 წლის 29 მარტს დამოუკიდებელი შემფასებლის გიორგი ლეჟავას მიერ.

ისტორიული ღირებულებით წარდგენის შემთხვევაში შენობის ღირებულება და ცვეთა გამოიყურება შემდეგნაირად:

31 დეკემბრისთვის	2014	2013
ისტორიული ღირებულება	1,519,877	1,519,877
დაგროვილი ცვეთა	(193,186)	(118,913)
<b>ნეტო საბალანსო ღირებულება</b>	<b>1,326,691</b>	<b>1,400,964</b>

მოცემული შენობა ჩადებულია სს „პროკრედიტ ბანკისგან“ მიღებული სესხის უზრუნველყოფაში.

**14. არამატერიალური აქტივები**

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო აღრიცხვისა და საოპერაციო საქმიანობისთვის შეძენილ პროგრამებს. მათ გააჩნიათ განსაზღვრული მომსახურების ვადა 5 წლის ოდენობით. 2014 და 2013 წლებში მათზე დარიცხულმა ამორტიზაციამ შესაბამისად შეადგინა 8,843 და 12,031 ლარი.

შპს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი“

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

**15. საინვესტიციო ქონება**

კომპანიის საინვესტიციო ქონება მოიცავს მის ბალანსზე არსებულ მიწის ნაკვეთებს. მიწების მთლიანი ფართობი შეადგენს 54,987 კვადრატულ მეტრს. მიწის ნაკვეთები მდებარეობს საქართველოში, კერძოდ სოფ. ორბეთში/თეთრიწყარო, გორგასლის ქუჩაზე/ხოზი და სოფელ დილომში/თბილისი. კომპანიის საინვესტიციო ქონების ღირებულება არ განსხვავდება მისი რეალური ღირებულებისგან.

**16. უზრუნველყოფაში მიღებული აქტივები**

კომპანიის უზრუნველყოფაში მიღებული აქტივები მოიცავს უზრუნველყოფაში ჩადებულ და ზარალის დადგომის გამო გადმოფორმებულ აქტივებს, კერძოდ შენობებს და მიწებს. აქტივების გარკვეული ნაწილი დაყადაღებულია თბილისის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ.

**17. აკვიზიციის გადავადებული ხარჯი**

აკვიზიციის გადავადებული ხარჯი 2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წამოდგენილია შემდეგნაირად:

	2014	2013
<b>1 იანვრისთვის</b>	<b>777,055</b>	<b>790,914</b>
გადავადებას დაქვემდებარებული აკვიზიციის ხარჯები	2,737,663	1,952,362
გაუქმება	(19,007)	(688,151)
ამორტიზაცია	(2,339,683)	(1,278,070)
<b>31 დეკემბრისთვის</b>	<b>1,156,028</b>	<b>777,055</b>

**18. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და სადაზღვევის აქტივები**

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და სადაზღვევის აქტივები 2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წამოდგენილია შემდეგნაირად:

	2014	2013
<b>სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები</b>		
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	8,855,766	8,210,671
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	13,042,128	3,843,714
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	776,288	744,780
	<b>22,674,182</b>	<b>12,799,165</b>

	2014	2013
<b>გადაზღვევის აქტივები</b>		
გადამზღვევლის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	705,750	1,481,027
გადამზღვევლის წილი განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში	9,745,043	1,815,359
გადამზღვევლის წილი მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვში	195,804	249,924
	<b>10,646,597</b>	<b>3,546,310</b>

	2014	2013
<b>გადამზღვევლის წილით შემცირებული სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები</b>		
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	8,150,016	6,729,644
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	3,297,085	2,028,355
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	580,484	494,856
	<b>12,027,585</b>	<b>9,252,855</b>

შპს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი“

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

**18. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)**

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივების მოძრაობის ანალიზი 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

**ა) გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი**

	2014	2013
<b>ნაშთი 1 ელი იანვრისთვის</b>	8,210,671	4,399,727
მოზიდული პრემია	22,486,818	19,079,745
ბრუტო გამოუმუშავებული პრემია	(21,841,723)	(15,268,801)
<b>ნაშთი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>8,855,766</b>	<b>8,210,671</b>

**გადამზღვევლის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში**

	2014	2013
<b>ნაშთი 1 ელი იანვრისთვის</b>	1,481,027	616,707
გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში	3,586,351	3,202,844
გამომუშავებულ პრემიაში გადამზღვევლის წილი	(4,361,628)	(2,338,524)
<b>ნაშთი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>705,750</b>	<b>1,481,027</b>

**გამომუშავებელი პრემიის რეზერვი, ნეტო**

	2014	2013
<b>ნაშთი 1 ელი იანვრისთვის</b>	6,729,644	3,783,020
მოზიდული პრემია, ნეტო	18,900,467	15,876,901
ნეტო გამოუმუშავებული პრემია	(17,480,095)	(12,930,277)
<b>ნაშთი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>8,150,016</b>	<b>6,729,644</b>

**ბ) ზარალების რეზერვი**

<b>ზარალების რეზერვი, ბრუტო:</b>	2014	2013
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	744,780	412,427
განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	3,843,714	159,794
<b>სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის</b>	<b>4,588,494</b>	<b>572,221</b>
წინა წლის ზარალების დარეგულირება (გადახდა)	(1,624,959)	(365,293)
